მუნიციპალიტეტის ცხოვრება

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №21(107) 2015 წ. 1-15 ნოემბერი ფასი 50 თეთრი

საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების №11 საგარეჯოს საარჩევნო ოლქში საბოლოო შედეგები:

№8 ირმა ინაშვილი – „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ – **6981 ხმა – 45,84%**

№41 თამარ ხიდაშელი – ბლოკი „ქართული ოცნება“ – **7540 ხმა – 49.51%**

№42 ზურაბ ჯორბენაძე – საინიციატივო ჯგუფი – **75 ხმა – 0.49%**

№43 მიხეილ ანდღულაძე – საინიციატივო ჯგუფი – **276 ხმა – 1.81%**

№44 გიორგი დავითაია – საინიციატივო ჯგუფი – **358 ხმა – 2.35%**

ერთიანი სიის მიხედვით ამომრჩეველთა რაოდენობაა – 46.082, აქედან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო – 15939-მა

ჩაილურის თემის არჩევნების საბოლოო შედეგები:

№7 მანანა ასანიშვილი – „უფლის სახელით – უფალია ჩვენი სიმართლე“ – **31 ხმა – 3.51%**

№8 ამირან საბინაშვილი – „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ – **169 ხმა – 19.16%**

№41 ზაზა ჩიხლაძე – ბლოკი „ქართული ოცნება“ – **397 ხმა – 45.01%**

№45 მალხაზ ბრძელიშვილი – საინიციატივო ჯგუფი – **285 ხმა – 32.31%**

ერთიანი სიის მიხედვით ამომრჩეველთა რაოდენობაა – 1537, აქედან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო – 936-მა

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ინფრასტრუქტურული სამუშაოები რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა

გზები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და დასაქმებული ადამიანები

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სამი საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია დასრულდა, ერეკლე მეორის ქუჩაზე, სოფელ ბადიაურსა და ე.წ. მეკოკიშვილების უბანში არსებულ გზებზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოები კი 1 დეკემბრამდე დასრულდება.

***საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ* თენგიზ შერგელაშვილმა** რეგიონული განვითარების ფონდის მიერ განხორციელებული პროექტები დაათვალიერა. მინისტრის მოადგილემ მანავისა და გომბორის, ასევე საგარეჯოში კოსტავას ქუჩაზე არსებული რეაბილიტირებული საბავშვო ბაღები მოინახულა. აღნიშნულ ობიექტებზე თითქმის არ არსებობდა სამზარეულო და სველი წერტილები, მანავის ბაღს დაზიანებული ჰქონდა საძირკველი, კოსტავას ქუჩაზე მდებარე ბაღში კი მხოლოდ კედლები და სახურავი იყო შემორჩენილი. ამორტიზებულ შენობებში განთავსებული საბავშვო ბაღები ბავშვებისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა. სარემონტო სამუშაოების ჩატარების შემდეგ ფაქტობრივად სამივე ბაღი მთლიანად განახლდა.

ბაღების გარდა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, რეაბილიტაცია გზებსაც ჩაუტარდა. თენგიზ შერგელაშვილმა მოინახულა გიორგიწმინდაში ე.წ. „მეკოკიშვილების“ უბანში განახლებული გზა, ასევე სოფელ ბადიაურის გზა და საგარეჯოში ერეკლე მეორის ქუჩა. აღნიშნულ გზებზე ბოლო 30 წლის მანძილზე სარემონტო სამუშაოები არ ჩატარებულა და როგორც ავტომობილით, ისე ფეხით გადაადგილება მოსახლეობას სერიოზულ პრობლემას უქმნიდა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში რეგიონული განვითარების ფონდის მიერ განხორციელებული პროექტების ღირებულება მილიონ 344 ათასი ლარია, სარეაბილიტაციო სამუშაოებში 200 ადამიანი დასაქმდა.

გვანცა ჯავახიშვილი

ფოტოები იხილეთ მე-6 გვერდზე

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

მუნიციპალიტეტის გამგებელი და საკრებულოს წევრები ანგარიშს თავიანთ ამომრჩევლებს ჩააბარებენ

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას ამავე ***საკრებულოს თავმჯდომარე*** **ზრიდონ ბურდული** უძღვებოდა. დღის წესრიგის საკითხების გაცნობის შემდეგ პირველ საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესისა და მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა*** **ბიორგი გოგოჯურმა.** როგორც მან აღნიშნა, აღნიშნული ანგარიშის ფორმის დამტკიცების საფუძველს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 88-ე მუხლის პირველი პუნქტი წარმოადგენს. აღნიშნული საკითხის განხილვის შემდეგ საკრებულომ დაამტკიცა „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესი“, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის გამგებელი და საკრებულოს წევრები ვალდებულები არიან წელიწადში ერთხელ 1 ნოემბრამდე შეხვდნენ ამომრჩევლებს გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩასაბარებლად და საჯარო შეხვედრის შესახებ ცნობა გამოაქვეყნონ მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე ან სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით 7 დღით ადრე მაინც. ამასთან, ანგარიშის წარმდგენი ვალდებულია უპასუხოს ამომრჩევლის მიერ დასმულ შეკითხვებს, ხოლო თავად ამომრჩეველს უფლება აქვს დასვას შეკითხვები, გამოთქვან შენიშვნები და წინადადებები, შეაფასონ მომხსენებლის საქმიანობა.

ცვლილებები წინა სხდომაზე მიღებულ დადგენილებაში

საკითხის „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ უსახლკაროთა, ასევე მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ შენობებში თვითნებურად შესახლებულ მოქალაქეთა აღრიცხვის, მათთვის სოციალური საცხოვრებლის გადაცემის და შემდგომი მონიტორინგის განხორციელების წესის დამტკიცების წესის შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 სექტემბრის №38 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა ***მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა*** **მადლენა სამუნაშვილმა**.

სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცა

საკითხის „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან (საერთო ფართი 7152202) 14984 მ2 ფართის სახელმწიფოზე უსასყიდლოდ გადაცემის შე***სახებ“ მოხსენება საკრებულოს წინაშე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსმა*** **ბიორგი ძურდოვანიძემ** წარადგინა.

განხორციელდება გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვები

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარძეულში ე.წ. „ბილანიშვილების უბანში“ დაზიანებული სასმელი წყლის მაგისტრალისათვის 1000 გრძივი მეტრი25 მმ-იანი პოლიეთილენის მილის, სოფ. მანავში ე.წ. „ტურის უბანში“ დაზიანებული სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალისათვის 600 გრძივი მეტრი 25 მმ-იანი პოლიეთილენის მილის, სოფელ ზემო ყანდაურაში დაზიანებული სასმელი წყლის მაგისტრალის შესაკეთებლად 200 გრძივი მეტრი 40 მმ-იანი პოლიეთილენის მილის, სოფელ უჯარმაში ე.წ. ზემო უბანში და სასაფლაოს მიმდებარედ მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მისაწოდებლად 300 გრძივი მეტრი 25 მმ-იანი და 600 გრძივი მეტრი 32 მმ-იანი პოლიეთილენის მილების გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის განხორციელების და ქ. საგარეჯოს კახეთის გზატკეცილზე (ე.წ. ყოფილი პოლიტექნიკური კოლეჯის) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისათვის წყლის მისაწოდებლად სასმელი წყლის ჭაბურდილის ამორეცხვის, ტუმბოს შეძენისა და მონტაჟის, ქ. საგარეჯოში, გ. ლეონიძის ქ. №6-ში არსებული ყოფილი საბავშვო ბაღის ფუნქციონირების აღსადგენად საკანალიზაციო სისტემების გაწმენდის სამუშაოების, სოფელ პატარძეულში დაზიანებული სასმელი წყლის რკინა-ბეტონის რეზერვუარის შეძენის, სოფელ კაკაბეთში ე.წ. „მახარაძის კოლმეურნეობის“ მიმდებარედ არსებული სასმელი წყლის რეზერვუარისათვის დ-75 მმ-იანი მილის შეძენისა და სამონტაჟო სამუშაოების, სოფელ ხაშმში დაზიანებული სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის შეკეთების მომსახურების, სოფელ ქეშალოში დაზიანებული სასმელი წყლის ჭაბურდილის ტუმბოს შეძენა-მონტაჟის, სოფელ თოხლიაურში ე.წ. „კარლოს უბანში“ დაზიანებული სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის შესაკეთებლად 900 გრძივი მეტრი 75-მმ-იანი პოლიეთილენის მილის შეძენის და III კატეგორიის გრუნტის ექსკავატორით მომსახურების, სოფელ ნინოწმინდაში №11-დან №15-მდე ქუჩების მიმდებარედ სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის აღსადგენად 250 გრძივი მეტრი 50-მმ-იანი პოლიეთილენის მილის შეძენისა და III კატეგორიის გრუნტის დასამუშავებლად ექსკავატორის მომსახურების გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვების განხორციელების შესახებ, ასევე სოფელ გომბორში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 17 ცალი ბეტონის ფილის ქ. საგარეჯოში გადმოსატანად (მამისაშვილის ქუჩაზე მოწყობილი სანიაღვრე არხების თავებზე დასაწყობად) ამწე-თვითმცლელის („კამაზის“) მომსახურების გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვების განხორციელების შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების გამგემ*** **ბეჟა ფეიქრიშვილმა**.

საკრებულომ ასევე განიხილა ქ. საგარეჯოს მოქალაქეთა განცხადებები მათი კუთვნილი საცხოვრებელი სახლისათვის ნუმერაციის მინიჭების შესახებ, რომელიც ***საკრებულოს წევრმა ფრაქცია „ქართული ოცნება-ფორუმის“ თავმჯდომარემ*** **ბიორგი ჭინჭარაძემ** წარადგინა.

საკრებულომ განხილულ საკითხებზე მიიღო შესაბამისი დადგენილება და განკარგულებები.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი

განიხილეს ინფრასტრუქტურული პროექტები

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის 3 ნოემბრის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ***მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები*** **დავით ივანიშვილი, ბიორგი რევაზიშვილი,** გამგეობის სამსახურის უფროსები და მუნიციპალიტეტის სოფლებში გამგებლის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

თათბირზე საუბარი შეეხო „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით მიმდინარე პროექტებს, მათ ხარისხსა და შესრულების ვადებს.

გამგებლის წარმომადგენლების მხრიდან დასმულ შეკითხვებს უპასუხეს გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსმა **ბიორგი ძურდოვანიძემ** და ამავე გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა **თენგიზ ივანელაშვილმა.**

დაისვა სასმელი წყლის მარეგულირებლების პასუხისმგებლობის საკითხი

10 ნოემბერს საგარეჯოს ***მუნიციპალიტეტის გამგეობის*** სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ამავე ***მუნიციპალიტეტის გამგებელი*** **ბიორგი გზირიშვილი** უძღვებოდა. გამგებლის წარმომადგენლებმა ტერიტორიულ ერთეულებში თათბირზე გააკეთეს ზეპირი ინფორმაციები სოფლებში არსებული სასმელი წყლის მილების მდგომარეობაზე. როგორც გაირკვა, სოფელ პატარა ჩაილურში საჭირო ხდება სასმელი წყლის დაზიანებული მილის ამოცვლა. ასევე, დაისვა საკითხი მთელ რიგ სოფლებში წყლის მარეგულირებელი პიროვნებების შეცვლის შესახებ, რომლებიც პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან მათზე დაკისრებულ მოვალეობას. საუბარი შეეხო სოფლების საუბნო გზების მოხრეშვის საკითხს, შეშის ბარათების დარიგებას, ლამბალოსა და თულარის დამაკავშირებელი ხიდის გაჭიანურებულ მშენებლობას, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა სხვადასხვა მიზეზების გამო მიტოვებულია მშენებლებისგან. ბოლომდე მიუყვანელი მშენებლობის გამო წვიმის წყალი რეცხავს და აზიანებს იმ ნაწილსაც, რომელიც ბიტუმითაა დაფარული. ხიდზე მოძრაობა საშიშროებას უქმნის მოსახლეობის სიცოცხლეს და იმ სასმელი წყლის მილს, რომელიც ხიდის ქვეშ გადის.

თათბირზე დასმულ შეკითხვებს უპასუხა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსმა გიორგი ქურდოვანიძემ.

თათბირზე დაისახა კონკრეტული ღონისძიებები თათბირის მსვლელობისას დასმული საკითხების მოსაგვარებლად.

არჩევნები ჩაგვარდა, მაგრამ ვნებათაღელვა კვლავ არ ცხრება...

შთაბეჭდილებები და შეფასებები არ წყდება...

საგარეჯო თითქოსდა არაფრით გამორჩეულია საქართველოში სხვა რაიონებს შორის, თუ არ ჩავთვლით ჩვენი სახელოვანი მოჭიდავეების მიერ მიღწეულ წარმატებებს... ბოლო პერიოდში კი საქართველოს საპარლამენტო შუალედური არჩევნების წინა პერიოდით და არჩევნების დღის „ბატალიებით“ ვგონებთ, „რეკორდიც მოვხსენით“ – იმდენჯერ იტრიალა ჩვენი რაიონის სახელმა ტელეარხებსა თუ სოციალურ ქსელებში. რაიონის თითქმის თითოეული სოფელი, მისი მცხოვრებნი და კატეგორია, რომელიც ყველა პოლიტიკური პარტიის სათავეში მოსვლას უჭერს მხარს მთელმა ქვეყანამ გაიცნო, დიახ, გაიცნო, ცნობილი სახეები გახდნენ...

შუალედურ არჩევნებზე ჩვენი რაიონიდან დეპუტატობის მანდატისათვის რიგით უკვე მერვე ნომრით იბრძოდნენ კანდიდატები. 1990 წლიდან საგარეჯოს წარმომადგენელი ჯერ უზენაეს საბჭოში, შემდეგ კი პარლამენტში ასე თუ ისე, საგარეჯოელები იყვნენ, ვინც აქ დაიბადნენ და გაიზარდნენ: ალექსი არაბული, ლევან თედიაშვილი, სულიკო პავლიაშვილი, ჯამლეთ ბაბილაშვილი, თენგიზ ოქროცვარიძე, ზაზა გულიკაშვილი, თინათინ ხიდაშელი. ამ უკანასკნელს კი საგარეჯოსთან და საგარეჯოელებთან დედულეთი აკავშირებს.

სწორედ საგარეჯოსთან აუცილებელ კავშირებზე წინ წამოწეულმა თემამ გამოიწვია წინასაარჩევნო დიდი ვნებათაღელვა რაიონში, მაგრამ კიდევ ერთხელ შეახსენეს, რომ კონსტიტუციის თანახმად. ყველა კანდიდატს ჰქონდა იურიდიული უფლება არჩევნებზე კენჭისყრის. ამჯერად ერთადერთი ჯორბენაძე იყო, ვინც საგარეჯოს რაიონში ცხოვრობდა ერთი პერიოდი, მაგრამ რაიონისთვის „ცნობადი“ სახე არ აღმოჩნდა (ამას მის მიერ მოპოვებული ხმებიც ადასტურებს).

წინასაარჩევნო მარათონი კი რთვლის იმ მძიმე, დაძაბულ პერიოდს დაემთხვა, როცა მევენახეები და არა მარტო მევენახეები, უკმაყოფილო იყვნენ ყურძნის შესყიდვის ფასებით. ამას დაემატა სოციალური დახმარებების შეჩერება, ქვეყანაში ლარის კურსის ვარდნა, საერთო მძიმე სოციალური ფონი... მაგრამ, დეპუტატობის კანდიდატებს ფართო მასშტაბით გაშლილი მუშაობის ტემპი არ შეუნელებიათ, გამოყენებული იქნა ყველა ბერკეტი, ნაცნობობა, ახლობლობა, ცნობადი სახეები, სასულიერო პირები, შოუბიზნესის წარმომადგენლები და 90-იანი წლებიდან დღემდე არსებული თუ აღარ არსებული, ფუნქციაშეწყვეტილი, ერთ დროს ცნობილი, ამჟამად „ვადაგასული“ პოლიტიკური დაჯგუფებები...

მთელი ამ ხნის განმავლობაში იყო რაიონის მოსახლეობისადმი მოწოდებები, ზოგჯერ მოსახლეობისათვის შეურაცხმყოფელი მიმართვებიც... ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ადამიანები, ადამიანთა ჯგუფები – სხვადასხვა ინტერესების, აზროვნების, მოსაზრების, სურვილებისა გამო. რაიონი გაიყო ორ დიდ ჯგუფად – ერთი – ევროპისკენ „გეზაღებული“ მეორე – მხოლოდ ქართული ტრადიციების, ღირებულებების პატივისმცემელი, ბოლოს „რუსეთუმეებად“ მონათლულები.

ამომრჩევლის ვნებათაღელვა არ ეტყობოდა საარჩევო უბნებს, რადგან მოსახლეობის აქტივობა დაბალი იყო, სამაგიეროდ, აქტივობა იყო დამკვირვებლების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების... იყო ცილისწამება და შეურაცხყოფა კომისიის თავმჯდომარის, კომისიის წევრების მიმართ,

დასასრული მე-4 გვერდზე

მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო

შიბლიანი



ბამგებლის წარმომადგენელი რობიზონ სადუნაშვილი

ადგილმდებარეობა, ტოპონიმი, ისტორიული მიმოხილვა

შიბლიანი გომბორის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე მდებარეობს. სწორედ ამ სოფელზე გადიოდა სავაჭრო-საქარავნო გზა VI საუკუნეში მარშრუტით – გრემი-გურჯაანი-ჭერემქალაქი-შიბლიანი-გარეჯი-შამქორი.

სოფლის ძველ დასახლებაზე მეტყველებს არქეოლოგიური აღმოჩენები და ის მატერიალურ-კულტურული ძეგლები, რომლებიც აქ უხვადაა შემორჩენილი.

სოფლის სამხრეთით მდებარე სახნავ მიწებში ღრმად ხვნის დროს დღესაც დიდი რაოდენობით ჩნდება სამაროვნები და ნამოსახლარები, კერამიკისა და თიხის ნამსხვრევები, აღმოჩენილი იყო სამკაულებიც. საინტერესოა, რომ აქ მოსახლეობა ჯერ კიდევ ქრისტიანობის გავრცელებამდე ყოფილა. ამის დასტურს კი ის სამარხები წარმოადგენს, სადაც მიცვალებული ქრისტიანული წესით – დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ კი არა, ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ არის დაკრძალული.

სამაროვნებში აღმოჩენილია თიხის სამფეხა ლარნაკები ცხოველების ძვლებით, ფიალები, ვიწროყელიანი ხელადები, სამკაულები, ქვის დანები, ბრინჯაოს იარაღის ნატეხები.

სოფლის სახელწოდების შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს:

ა. „შიბლიანი“ – ახალგაზრდა ტყიან მხარეს ნიშნავს;

ბ. „შიბლიანი“ – გეოგრაფიული ტერმინია და ჯაგ-ეკლიან ადგილს აღნიშნავს;

გ. „შინდბლიანი“ – შინდისა და ბლის ხილით უხვ მხარეს ნიშნავს;

დ. „შიბლიანი“ – ამ სიტყვის შესახებ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის 504-ე გვერდზე წერია: შიბლიანი –შიბით შემკული წინდები, ქსოვილში გაყოლებული წნული ჭრელ ზოლებად, შიბებად შემკული გულისპირი, ტანსაცმელი, ქუდი, კლდის წიბო;



ე. „შიბნიანი“ – შიბნი არის ვიწრო ბილიკი ტყეში, მტრისათვის უხილავი, რაც ახლაც არსებობს. მტრის თავდასხმის დროს საყარაულოს გორაზე ცეცხლის ანთებისას ხალხი ამ გზებით გარბოდა ჩრდილოეთისკენ, სადაც თავდამყურე ციხეს აფარებდა თავს. ამ ციხის ნანგრევები შემორჩენილი იყო დიდხანს და მოიცავდა წმინდა თევდორეს ეკლესიის სამხრეთით და მიემართებოდა მაღალი კლდით საკმაოდ ფართო, ჭერემისაკენ მიმავალ ძველ გზაზე, მდინარე ყარალი ხევის გასწვრივ. სიტყვა „შიბნიანში“ ასო-ბგერა „ნ“-მ დაიმსგავსა ასო-ბგერა „ლ“ და მიიღო სახელწოდება შიბლიანი.

საინტერესოა რას ამბობს ისტორიკოსი ალ. ელერდაშვილი ამ სოფლის შესახებ.

„საგარეჯოს რაიონის ყველაზე განაპირა სოფელს შიბლიანი წარმოადგენს. იგი ტიპური ქართული სოფელია თავისი დამახასიათებელი კოლორიტით, ხალხის ზნე-ჩვეულებებით, ტრადიციით. შიბლიანში მხოლოდ ქართველები ცხოვრობენ, ძირითადად ძირკველიშვილები, ჩოკოშვილები, ხუროშვილები, სადუნაშვილები, ჭამიაშვილები, ზირაქაშვილები, ბეგიაშვილები, ნათენაძეები, სირაძეები, კოლოტაძეები. ძირკველიშვილების ერთი ნაწილი ნათენაძეები ყოფილან, ჭამიაშვილების რამდენიმე კომლი – მაისურაძეები.აქედან არიან წასულები მეშველიშვილები, ბაზერაშვილები, ნაცვლიშვილები.

ძირკველიშვილები და ჭამიაშვილები ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის გარშემო ყოფილად დასახლებულები და ამასთან, საეკლესიო გლეხები იყვნენ.

ადრე შიბლიანზე გადიოდა ჩაილურიდან სიღნაღისკენ და საერთოდ, კახეთისკენ მიმავალი გზა.

შიბლიანი მოხერხებული იყო გეოგრაფიული მდებარეობით. იგი უფრო უკეთ იცავდა თავს მტერთა ურიცხვი შემოსევებისაგან XVII საუკუნის დასაწყისში. ისტორიული წყაროებით კაკაბეთი და ყანდაურა საშინლად აოხრდა შაჰ-აბასის შემოსევებისას. სასწაულად გადარჩენილი ტყეს შეფარებული შიბლიანელები პატრონობდნენ ახლო-მახლო გადარჩენილ მოსახლეობას.

როცა მშვიდობა დამყარდა, მათ გარშემო სოფლებში კვლავ მომრავლდა დასახლებები და გახშირდა კიდეც დავები კაკაბელებსა და შიბლიანელებს შორის სადაო მამულების შესახებ.

1700 წლის ერთ-ერთი განჩინებაში ვკითხულობთ: „კაკაბელი და შიბლიანელნი მიწა-წყალზე შუღლობდნენ. მოვედით და ენისელთ მოურავი ნოდარ და ენისელთ მოურავისშვილი ზარაბ, ჯანდიერასშვილი გივი მოვიყვანეთ, ორივ ვალაპარაკეთ, მთაბარი გავუსინჯეთ და ისე გავუყავით, შევარიგეთ:

იორზედ სახლთხუცის ობა რომ არის ყოჯას პირისპირ, გზა რომ გამოვა, ის ჭალა შიბლიანელთ საწისქვილედ დავანებეთ და წისქვილებს გარდა სამჭმოთ კაკაბელთ დავანებეთ: იმის ქვემოთ ზაგრის ობას პირდაპირ პატარა თუთა არის ერთი, სამძღვარი ის არის. იმის იქით ტყე სწორად ჭამონ, საერთო იყოს. ყანდაურიანი წყლითვე კაკაბელთ დარჩა, თუ შიბლიანელთა ბოლოს საძოვარი ბალახი კაკაბელთ არ დაუშალონ, კაკაბეთელთ შიბლიანელთ წყალი არ დაუჭირონ, თუ ერთმანეთში მეზობლურად შერიგდნენ ხვნა და თესვა არ დაუშალონ“. (ქართული სამართლის ძეგლები. ტ IV. გვ. 181-182).

შიბლიანი ძირითადად თავისუფალი თემი იყო, მაგრამ მიწა-წყლის დიდი ნაწილი და ნაწილობრივ ყმებიც– ახლანდელი ბადიაური, ბოგდანოვკის, იორმუღანლოს და დუზაგრამის მთელი ნაწილი მიწა-წყალი, სახნავ-სათესი, ტყეები და წისქვილები კახეთის უძლიერეს თავადებს ანდრონიკაშვილებს ეკუთვნოდათ.

1721 წლის კახეთის კამერალური აღწერით ქაიხორო ანდრონიკაშვილს ეკუთვნოდა 21 კომლი ყმა, ხოლო სახაზინო იყო (ე.ი. მეფის საკუთრება) 20 კომლი.

შიბლიანელები ეპარქიალურად ჭერემქალაქის მღვდელმთავარს ექვემდებარებოდნენ, მაგრამ მე-18 საუკუნის დასაწყისში საქართველოს ძნელბედობის ჟამს ირანელ და თურქ დამპყრობელთაგან განადგურების პირას მისულ ქვეყანას დალესტნელი აბრაგები შემოესივნენ. ჭერემის სამწყსო გაუკაცრიელდა, თეიმურაზ მეორემ იგი გააუქმა და შიბლიანი ნინოწმინდის ეპარქიას შეუერთა.

დასასრული მე-5 გვერდზე



ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲩᲐᲛᲗᲐᲠᲓᲐ

ᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐᲦᲚᲕᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲐᲠ ᲪᲮᲠᲔᲑᲐ...

ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲜᲔᲚᲓᲔᲑᲐ...

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

სოფლებში საეჭვო პიროვნებების მოძრაობა...

არჩევნები 12 საათს გაგრძელდა...

შედეგები უფრო მალე გახდა ცნობილი. არ იყო 15867 ხმის დათვლა ძნელი. მხოლოდ №50 სპეცუბნიდან გახდა მძიმე ვითარებაში ოქმის გამოტანის შესაძლებლობა – აქ საარჩევნო კომისიას 300-მდე (როგორც ამბობენ და მედიასაშუალებებიც ავრცელებდნენ) პირმა ალყა შემოარტყა შენობას (საბავშვო ბაღს). მათში „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მხარდამჭერები იყვნენ, რომელთა შორის „ქართული ოცნების“ ყოფილი წევრები (ამ ბოლო სამი წლის განმავლობაში სხვადასხვა დროს სამსახურებიდან გათავისუფლებული, დათხოვნილი), ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრები, ათეული წლების წინ სხვადასხვა დაჯგუფებებში გაერთიანებული ადამიანები – ყველა ერთი მიზნით – ყოფილიყო სამართლიანი არჩევნები, გაუქმებულიყო 50-ე საარჩევნო სპეცუბნის ხმები. არჩევნების შედეგები კი მართლაც საინტერესო აღმოჩნდა:

დეპუტატობის კანდიდატმა „საქართველოს პატრიოტთა ალიანსიდან“ ხმები მიიღო საგარეჯოს 12-ვე საარჩევნო უბანში – გიორგიწმინდის ორი, მანავის, კაკაბეთის, ხაშმის, გომბორის, კოჭბანის, ნინოწმინდის, წყაროსთავის, პატარძეულის, მზისგულის, სათაფლის საარჩევნო უბნებში, ხოლო დეპუტატობის კანდიდატმა კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ – გიორგიწმინდის ერთ, უჯარმის, თოხლიაურის, ვერხვიანის, ბადიაურის, ყანდაურის, შიბლიანის, უდაბნოს, იორმუღანლოს, ლამბალოს, თულარის, დუზაგრამის საარჩევნო უბნებიდან (არჩევნების შედეგები უკვე გაგაცანით ამავე ნომრის I გვერდზე).

ხმები დათვლილია, მოხდა მისი გადამოწმება, საბოლოო შედეგები დაზუსტებულია. 8 ნოემბრიდან დეპუტატობის კანდიდატმა პარტია „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსიდან“ ირმა ინაშვილმა და მისმა მომხრეებმა არჩევნების შედეგების გასაპროტესტებლად თბილისში კანცელარიის წინ შიმშილობა დაიწყეს.

9 ნოემბერს შიმშილობა დაიწყეს ამავე ალიანსის საგარეჯოს პარტიის ოთხმა წარმომადგენელმა ქ. საგარეჯოს ცენტრში.

არჩევნების შემდეგ ჩვენ დავუკავშირდით საქართველოს პარლამენტის ყოფილ წევრებს საგარეჯოს რაიონიდან, რაიონის ყოფილ ხელმძღვანელებს და სულ ორიოდე კითხვით მივმართეთ მათ: როგორ შეაფასებენ 31 ოქტომბრის არჩევნებს და როგორ ფიქრობენ, რაიონს აქვს თუ იმის რესურსი, რომ პარლამენტის მომავალ არჩევნებში (2016წ) კენჭი უშუალოდ საგარეჯოს რაიონის მოსახლეობიდან შერჩეულმა პიროვნებებმა იყაროონ?

ამ შეკითხვებით მივმართეთ რაიონის ყოფილ ხელმძღვანელებს:

ᲒᲘᲐ ᲩᲐᲚᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ – ***საგარეჯოს რაიონის გამგებელი 2008-2012 წლებში, ყოფილი დეპუტატობის კანდიდატი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში:***

– 31 ოქტომბრის შუალედური არჩევნები მართლაც მოულოდნელი იყო, მაგრამ, აღმაშფოთებელიც. არც ერთი კანდიდატი, მათ მიერ განვლილი გზა არ იყო ცნობადი საგარეჯოს რაიონის მოსახლეობისათვის, ამ შემთხვევაში რაიონი ირჩევდა თავის წარმომადგენელს ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში, ამდენად თითოეულის მიერ განვლილი გზა გამჭვირვალე და გამოწვლილვით უნდა ყოფილიყო წარმოჩენილი. მკაფიოდ უნდა ყოფილიყო ასევე, წარმოჩენილი მათი პოლიტიკური ორიენტაცია, მიზნები და საბოლოო შედეგები. საინტერესოა, რატომ, რისთვის იყრიდნენ ისინი კენჭს საგარეჯოდან. ყველას, ხუთივე კანდიდატს ჰქონდა შანსი კენჭი ეყარა 2012 ან 2016 წლის არჩევნებში თბილისის რაიონებში. მიუღებელია ჩემთვის ლოზუნგები და მოწოდებები, რომ დეპუტატობის კანდიდატებს უყვართ საგარეჯო და საგარეჯოელები, რომლებსაც ქალაქის ქუჩებში გავლა მხოლოდ ახლა მოუწიათ და ზოგიერთებს ვერც გაურჩევია ზონა, თემი, სოფელი და ის, რომ ახლა სოფლის გამგებელს გამგებლის წარმომადგენელი ჰქვია. ვერ დავიჯერებ იმას, რომ დეპუტატობის კანდიდატს, რომელმაც არ იცის რამდენი საჯარო სკოლა, რამდენი სკოლამდელი დაწესებულებაა, ან კონკრეტულ თემში რომელი სოფლები შედის, მან გაითავისოს ადგილობრივი მოსახლეობის რაიმე საკითხის პრობლემატურობა და ყურადღება მიაქციოს.

მეორეც, დეპუტატობის კანდიდატებს მხარდამჭერთა ისეთი კატეგორია ჩამოჰყვა და ადგილობრივიც ისეთი დახვდა, მიემხრო და გვერდში დაჰყვებოდა, რომლებსაც ახლო წარსული ისეთი ჰქონდა, რომლის გახსენებაც არ უნდა რაიონის მოსახლეობას. რაც შეეხება საგარეჯოელ მხარდამჭერებს, ესენიც ერთფეროვანი კატეგორია იყო, რომლებსაც 1989 წლიდან ყველა პარტიასთან ვხვდებით – ყველა პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერად – საკუთარი ინტერესების, პირადი პრობლემების მოსაგვარებლად მოტივირებულები. შემაშფოთებელი იყო ნამდვილად კრიმინალების, საეჭვო რეპუტაციის მქონე ადამიანების ჩართვა არჩევნების პროცესში. ეს ხალხის, ამომრჩევლის, ქვეყნის და იმ საკანონმდებლო ორგანოს უპატივცემულობაა, რომლის მანდატის მოსაპოვებლად იბრძვი და არა იღწვი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით.

რაც შეეხება რესურსს. ჩვენ რესურსი ამ კუთხით დიდი გვაქვს. ახლაც შეიძლებოდა რამდენიმეს სურვილი გამოეთქვა და ეშრომა დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატის მანდატით, მაგრამ ერთი შანსი ერთი წლით გავუშვით. რატომ?! ჩვენ ერთად არ ვიყავით, დღევანდელი პოლიტიკური ფონი ხელს გვიწყობდა ამ შანსის გამოყენებაში – ყოფილი დეპუტატის რეიტინგი დაბალი იყო, ახლებს, რომლებიც პარტიებმა წარმოგვიდგინეს, ჩვენთვის უცნობები იყვნენ. მაგრამ, ზემოთაც ვთქვი, ჩვენ ერთად არ ვიყავით. მაინცდამაინც პოლიტიკურ აქტიურობას ის დაწუნებული კატეგორია იჩენს, რომელთაც ამბიციები აქვთ „პოლიტიკოსობის“, „რაიონის დალაგების“, რაიონის ხელმძღვანელობაში მოსვლის, თუმცა ყველანაირად მოუმწიფებლები არიან, მიუხედავად „საბრძოლო“ ასაკისა. ამასთან, ჩვენი ამომრჩეველი ჩქარობს გადაწყვეტილების მიღებისას – ურჩევნია მისთვის უცნობ ადამიანს მისცეს ხმა, რადგან არ იცნობს, მაგრამ რახან ერთი შეხვედრით გაეცნო, ყველაფერი იცის, ყველა პრობლემას მოუგვარებს.

და ერთ საკითხზეც მინდა ყურადღების გამახვილება. დღეს ხშირად ტრიალებს კითხვა – თუ ქ-ნმა ირმა ინაშვილმა ქ. საგარეჯოს უბნებში 70% ხმათა უმრავლესობა დაიმახურა, მაშ, რა მოხდა, აზერბაიჯანულ მოსახლეობაში რატომ მიიღო ხმათა უმცირესობაო?! ცოტა დავფიქრდეთ, და პატივი ვცეთ ამ მოსახლეობის კეთილ ნებას, მათ გადაწყვეტილებებს, მათ არჩევანს?!

ᲘᲚᲘᲐ ᲯᲘᲐᲣᲠᲔᲚᲘ – ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე 2006-2014 წლებში:***

– საქართველოს პარლამენტის შუალედურ არჩევნებში გულახდილად გეტყვით, არ ვიყავი აქტიურად ჩართული. ამდენად, ნიუანსებს ვერ გეტყვით. ისე კი, შორიდან რასაც ვაკვირდებოდი, ერთობ დაძაბული ფონი ჩანდა. შეიმჩნეოდა ორივე მხრიდან გარკვეული თავდაჯერებულობა გამარჯვებისა, რაც ყოველ არჩევნებს თან ახლავს, მაგრამ აქ უფრო „მწვავედ“ იგრძნობოდა ეს თვითდაჯერებულობა.

ჩემის აზრით, მაჟორიტარული სისტემა გამართლებული არ არის. ეს სისტემა რომ შესაცვლელია, ამ აზრის სისწორეში სწორედ 31 ოქტომბრის არჩევნებმა განმიმტკიცა – ეს იყო პროპორციული არჩევნები, რადგან აქ პარტიულობამ გადაწყვიტა არჩევნების ბედი. – ორივე, ერთმანეთს დაპირისპირებული კანდიდატი (აღარ ვამბობ, რომ აქ ის სამი დეპუტატობის კანდიდატიც იყო) უცხო იყო საგარეჯოს რაიონის მოსახლეობისათვის.

რაც შეეხება რესურსს – გვაქვს. მე არ შემიძლია შევეხო ან გავაკრიტიკო იმ 5 დეპუტატობის კანდიდატის პროფესიონალიზმია და განათლება, ცოდნის დონე, მაგრამ საგარეჯოს რაიონში ნამდვილად არიან ადამიანები, რომლებიც მართლაც წარმატებით ასწავლენ დეპუტატობის საჯილდაო ქვასაც და ბევრ საკეთებელსაც გაუკეთებენ საქართველოს და საკუთარ ამომრჩეველს. დამერწმუნეთ, საქართველოსათვის იქნება ტრაგედია, თუ ჩვენს რაიონში, 60 ათას მოსახლეში ვერ შეირჩა პიროვნება, რომელიც „შუამავალი“ იქნება საქართველოს პარლამენტში, ხელისუფლებასა და თავის ამომრჩეველს შორის. ოქტომბრის არჩევნების ვნებათაღელვა სხვა პარტიების ბოიკოტმაც გამოიწვია. პარტიათა მრავალი სპექტრით წარმოდგენილი კანდიდატები თავის გარშემო გარკვეული ამომრჩევლის ნაწილს იკრებს, უფრო საინტერესო ხდება წინასაარჩევნო მარათონიც, მაგრამ ახლა, ამ შემთხვევაში მხოლოდ დიდი ვნებათაღელვისა და კანდიდატთა მხრიდან თვითდაჯერებულობის „შესაშური“ დოზა დამრჩა მეხსიერებაში.

იმედი მაქვს და თანაც დიდი, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ჩვენი რაიონის წარმომადგენელი იქნება, ჩვენს ხმებსაც დამსახურებულად ის მიიღებს.

პირველი დეპუტატი (უზენაესი საბჭოსი) **ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘᲐ**, რომელმაც 1990 წლის არჩევნებში 14 ათასი ამომრჩეველიდან 10 ათასი ხმა მიიღო. კითხვებზე პასუხის გაცემისას კატეგორიულად მოითხოვა გაზეთში დაგვებეჭდა მისი სრული, შეუსწორებელი საუბარი.

– ახალი ხელისუფლების მოსვლა დიდი შედავათი იყო მთელი ქვეყნისათვის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო იმ ტირანული, ფაშისტური რეჟიმის მოცილება რად უღირდა ხალხს, რომელიც იმ უზნეო და უსამართლო ხელისუფლების უღელქვეშ გმინავდა. სამწუხაროდ, სხვა სიკეთეების განცდა ჩვენი რაიონის მოსახლეობას არ უგრძვნია, იმიტომ, რომ რაიონს კვლავ ნაციონალური მეთოდებით მართავდა თინა ხიდაშელი თავის რესპუბლიკურ პარტიასთან და იმ მლიქვნელებთან და ფარისევლებთან ერთად, რომლებიც უხვად ჰყავდა თავის გარშემო სახელისუფლებო თუ სხვა სტრუქტურებში. აქ სხვადასხვა მაგალითების მოყვანა შეიძლება. დაგისახელებთ ერთს: თინა ხიდაშელის დეპუტატობის სამ წელში დამკვიდრდა ძალიან მავნე და დამღუპველი ტრადიცია – უცოდინარი, უპასუხისმგებლო და არაფრისმკეთებელი ადამიანების დაწინაურება – მხოლოდ ერთი ნიშნით – უნდა ყოფილიყავი მისი მონა-მორჩილი და მისი მანკიერი მართვის სტილის აღმასრულებელი. სწორედ ამ „პოლიტიკის“ გაგრძელებაა ის, რომ დეპუტატად თინა ხიდაშელს ისევ თავისი ახლობელი თამარ ხიდაშელი უნდა, ადამიანი, რომელსაც საგარეჯოსთვის არასოდეს არაფერი არ გაუკეთებია, ხალხს არ იცნობს, ჩვენი საფიქრალ-სატკივარის არაფერი გაეგება და გვპირდება – მე გავაგრძელებ თინა ხიდაშელის მიერ დაწყებულ პროექტებსო...

თითქოს „რესპუბლიკელები“ არ გვყოფა სასჯელად, თამარ ხიდაშელმა თავის წინასაარჩევნო შეხვედრაზე საგარეჯოში ალასანიას თანაპარტიელი დეპუტატი, ანტიდისკრიმინაციული კანონის პირველი მქადაგებელი და პირწავარდნილი ანტიქრისტე – ნინო გოგუაძე ჩამოიყვანა. ეს რასაც ნიშნავს, ამის გარკვევა მკითხველისათვის მიმინდვია... არ დაუმალოთ ისიც, რომ არჩევნებში ხიდაშელის მხარდასაჭერად მაქსიმალურად იყო მობილიზებული საგარეჯოელი ნაცების მთელი არმია. ესეც ბევრის მიმანიშნებელია – ანუ საგარეჯოში შეიკრა „რესპუბლიკელების“, „თავისუფალი დემოკრატების“ და „ნაციონალების“ ერთობა. ანუ ფაქტიურად გაფორმდა ის კავშირი, რომელსაც მეც და სხვებიც ჯერ კიდევ ორი წლის წინ ვამბობდით. თუ საგარეჯოს ასეთი არჩევანი უნდა, ალალი იყოს მათთვის თინაცა და თამარიც, მე კი ცოცხალი თავით ამას არ შევეგუები და კვლავ ვიბრძოლებ ჩემი მეთოდებით.

არჩევნებში ცალსახად ვუჭერდი მხარს ირმა ინაშვილს იმიტომ, რომ მან და მისმა პარტიამ, გადამწყვეტი როლი შეასრულა ფაშისტური რეჟიმის მოცილებაში. ირმა ინაშვილის საქციელი, გადაუჭარბებლად რომ ვთქვათ, იყო თავგანწირვა და ამისთვის ჩვენ, საგარეჯოელებიც ვიყავით გადადებული მისთვის მხარი დაგვეჭირა. მე სხვა მოტივებიც მქონდა მისთვის მხარდასაჭერად, მაგრამ, აი, რისთვის დაუჭირეს მხარი თამარ ხიდაშელს ზოგიერთმა საგარეჯოელმა, ეს მაინტერესებს. რა პრიციპით, რა მოტივით ხელმძღვანელობდნენ, როცა მას უჭერდნენ მხარს. თუ ვინმეს ამ თემაზე ჩემთან კამათის სურვილი ექნება, მზად ვარ...

ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘ – პოლიტიკური და ინტელექტუალურიც საგარეჯოს ყოველთვის ჰქონდა და აქვს დღესაც. კომუნისტების დროს ნახევარი კახეთი საგარეჯოელი რაიკომის მდივნებით იმართებოდა, შემდეგში კი გუბერნატორები, პროკურორები და ა.შ. დღესაც არავის ჩამოუუვარდებით, მაგრამ როგორც უკვე ვთქვი, დღეს საგარეჯოში თინა ხიდაშელის შერჩეული კადრებია ყველა სფეროში. იმათ კი ვერც პოლიტიკურ და ვერც ინტელექტუალურ თუ ზნეობრივ დონეს ვერ მოსთხოვ. ერთმა აზერბაიჯანელმა დეპუტატმა მითხრა, რომ ზ,. გამსახურდიას დროიდან მოყოლებული ასეთი სუსტი და უნიათო ხელისუფლება არასოდეს ჰყოლია საგარეჯოსო. ეს მართლაც ზუსტი შეფასებაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ გვაქვს რესურსი. რესურსიც გვაქვს და ძალიან კარგიც, მაგრამ მისი რეალიზაციისთვის შესაბამისი პირობები არ არის. დღეს უცოდინრი, ფარისეველი და მლიქვნელი კადრებია მოთხოვნადი და არა ინტელექტუალის, პატრიოტის და პროფესიონალის. ამიტომ რჩება ზოგიერთს შთაბეჭდილება, რომ რესურსი არ გაგვაჩნია...

ᲡᲣᲚᲘᲙᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ – ***საქართველოს ეკონომიკის ყოფილი მინისტრი, საქართველოს პარლამენტის წევრი 1999-2003 წლებში.***

1. – სამწუხაროდ, ამ პერიოდისთვის საზღვარგარეთ ვიმყოფებოდი. ორი თვეა ჩემს მშობლიურ კაკაბეთშიც არ ვყოფილვარ. ამდენად ვერაფერს გეტყვით არჩევნებზე...

2. – საგარეჯოს რაიონში 60 ათასი მაცხოვრებელია, დავიჯერო, რესურსი არ არის ჩვენთან? უბრალოდ, ინიციატივა არავინ აიღო. თბილისში ნებისმიერ ცნობილ პოლიტიკოსს, ცნობად სახეს შეუძლია იყაროს კენჭი დეპუტატად და შეუძლია ეს საგარეჯოშიც გააკეთოს, მაგრამ რატომ? ჩვენს რაიონს კარგი დეპუტატები ჰყავდა მანამდეც და ახლაც, სამომავლოდაც კარგი დეპუტატები გვეყოლება. მონდომება და ძალების მობილიზებაა საჭირო. მე ნამდვილად მომხრე ვარ, ჩვენი რაიონის წარმომადგენელმა დაიკავოს მომავალ პარლამენტში ადგილი.

ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲝᲥᲠᲝᲪᲕᲐᲠᲘᲫᲔ – ***საგარეჯოს რაიონის ყოფილი გამგებელი (1997-2003წწ) საქართველოს პარლამენტის წევრი 2003-2007 წლებში:***

– სიმართლე გითხრათ, ამ არჩევნებში მე მხოლოდ როგორც ერთი რიგითი ამომრჩეველი, ისე ვიღებდი მონაწილეობას. უბრალოდ, მივედი საარჩევნო უბანში, მოვიხადე ჩემი, როგორც ამომრჩეველის მოვალეობა.

– რესურსი? პიროვნებები? – როგორ არა, რამდენიც გინდათ, იმდენი. ჩვენს რაიონში კარგი, ძლიერი, ნიჭიერი ახალგაზრდობაა, ჩამოყალიბებული პიროვნებები არიან შუა ასაკის ადამიანებიც. როგორ შეიძლება რაიონში, სადაც ოდითგანვე ისეთი პიროვნებები იზრდებოდნენ და მოღვაწეობდნენ, რომლებიც მარტო საქართველოში კი არა, მის ფარგლებს გარეთაც ცნობილები იყვნენ და არიან თავიანთი ნიჭიერებით, არ მოიძებნებოდეს ადამიანი, პიროვნება, რომელიც „შუაკაცი“ იქნება ხელისუფლებასა და რაიონის მოსახლეობას შორის? საბედნიეროდ, ასეთები მეგულებიან და 2016 წლის არჩევნებისათვის ისინი მზად უნდა იყვნენ.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო შიბლიანი

დასასრული

ანდრონიკაშვილებმა შიბლიანის ადგილმამულები ჩალის ფასად გაყიდეს. შიბლიანის უმდიდრეს ადგილებში სხვა სოფლები აღმოცენდნენ.

რაც შეეხება სწავლა-განათლებას, შიბლიანში სკოლა არ იყო. წერა-კითხვას სწავლობდნენ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში მღვდელ ზურაბაშვილთან (იგი აკადემიკოს ავლიპ ზურაბაშვილის მამა იყო). აქ იზრდებოდა მომავალი ექიმი-აკადემიკოსი ავლიპიც. აქვეა დასაფლავებული ვინმე ზურაბაშვილი.

როცა ეკლესიაში მღვდელმსახურება აღარ იყო, მღვდელი ზურაბაშვილი გადავიდა სიღნაღში – წმ. ნინოს სახელობის ეკლესიაში.

ამჟამად ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია (VI საუკუნეშია აშენებული) რესტავრირებულია, რომელიც შიბლიანის მოსახლეობის მიერ იქნა აღდგენილი, შემოიღობა ეკლესიის ეზოც.

რესტავრაცია ჩაუტარდა წმ. თევდორეს სახელობის ეკლესიასაც.

ახლო წარსული

სოფელში იყო საბჭოთა მეურნეობა, სოფლის საბჭო, კულტურის სახლი, ბიბლიოთეკა, საექიმო ამბულატორია.

1989 წელს შიბლიანის მებოცვრეობის საბჭოთა მეურნეობას 785 ჰა ნათესი ფართობი ჰქონდა, 129 ჰა-ზე ვენახი იყო გაშენებული, ხილსა და კენკროვან მცენარეებს 10 ჰა ეკავა. 1989 წელს საბჭოთა მეურნეობამ 2030 ტონა მარცვალი აწარმოა, 50 ტონა – ბოსტნეული, 510 ტონა – ყურძენი, 82 ტონა – ხორცი, 77 ტონა – რძე, 25 ტონა – ხილი, აქ 212 სული მსხვილფეხა საქონელი იყო, 668 სული ღორი...

2009 წელს შიბლიანში სულ 298 სული მსხვილფეხა ჰყავდათ, 180 სული ცხვარი, 22 – ცხენი, 70 – სული ღორი, 1888 – ფრთა ფრინველი, 170 ⊢ ოჯახი ფუტკარი.

2012 წელს ვენახს აქ 102 ჰა ეკავა, საძოვარს – 932, სახნავ-სათესს 683, ცხოვრობდა 173 კომლი 570 მოსახლით.

დღევანდელობა

შიბლიანში დღეს 190 კომლია, 660 მოსახლით.

მიწის ფართობს სულ 2110,9 ჰა უკავია. აქედან კერძოა – 210 ჰა, მუნიციპალური – 65, სახელმწიფო დანიშნულების – 1835,9 ჰა. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს, სულ 1795 ჰა-ია, აქედან კერძო – 210, მუნიციპალური – 65, სახელმწიფო – 1520 ჰა.

სახნავი სულ 683 ჰა-ია, საიდანაც კერძოა – 480 ჰა, სახელმწიფო დანიშნულების კი – 203 ჰა.

სათიბი სავარგულები სოფელს არ გააჩნია.

რაც შეეხება საძოვარს, სულ 932 ჰა-ია, საიდანაც კერძოა – 321 ჰა, მუნიციპალური – 65, სახელმწიფოსი – 546.

მრავალწლიან ნარგავებს აქ 180 ჰა უკავია, რომელიც მთლიანად კერძო საკუთრებაშია.

სოფელში ფუნქციონირებს საჯარო სკოლა (მენეჯერი დავით ხუროშვილი). სკოლა 2012 წელს აშენდა. მასში 12 საკლასო ოთახია. სკოლას აქვს თანამედროვე

საჯარო სკოლის დირექტორი დავით ხუროშვილი

სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი კომპიუტერული ლაბორატორია. აქ 57 მოსწავლის სწავლა-აღზრდის საქმეს 20 პედაგოგ-მასწავლებელი ემსახურება. აქ კვლავაც ჩვეული შემართებით იღვწის ახალგაზრდობის აღსაზრდელად ფილოლოგი ქ-ნი ელენე ძირკველიშვილი. გასულ წელს სამმა მოსწავლემ დაამთავრა აქ საჯარო სკოლის სრული კურსი, მათგან 1 ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში. პირველ კლასში წელს 5 მოსწავლეა. სკოლას არ აქვს არც სპორტული მოედანი და არც სპორტდარბაზი. სკოლის მენეჯერის თქმით, მომავალი წლისთვის აქ აპირებენ დია სპორტული მოედნის მოწყობას, რისთვისაც შესაბამის თანხებს უკვე ეძებენ. სკოლაში მოსაწესრიგებელია გათბობის სისტემა, რომელიც მწყობრიდან გამოვიდა იმის გამო, რომ გამათბობელი იყო რკინის (თუჯი უნდა ყოფილიყო), რომელმაც ვერ გაუძლო დატვირთვას. ახლა გამოცხადებულია ტენდერი გამათბობელის შესაცვლელად...

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში (მენეჯერი თამარ ხუროშვილი) 18 აღსაზრდელს 1 აღმზრდელ-მასწავლებელი, აღმზრდელის თანაშემწე, მზარეული, მედდა და დამლაგებელი ემსახურება. შენობაში შეყვანილია სასმელი წყალი, არის წყლის გამაცხელებელი. აქ ყველა პირობაა შექმნილი პატარების სამეცადინოდ და სათამაშოდ, მათი გონებრივი და ფიზიკური განვითარებისათვის, საბავშვო ბაღის ეზოში ჯერ-ჯერობით არ არის გასართობები.

შიბლიანელებს საექიმო ამბულატორია გასული საუკუნის ბოლო წლებამდე ჰქონდათ, მაგრამ დაიხურა. ამჟამად „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით, სოფელში არსებულ ადმინისტრაციულ შენობაში, რომელშიც ამ ოცი წლის წინ განთავსებული იყო სოფლის საბჭო, მეურნეობის ადმინისტრაცია, ბიბლიოთეკა, სასოფლო კლუბი, ორ ოთახში გაკეთდა რემონტი, დაინიშნა ექიმი ცინარ აბესაძე და მედიცინის და – მარინე პაპუნაშვილი. მაგრამ, არ არის ინვენტარი, რომლის მოძიებასაც დღეს გამგებლის წარმომადგენელი ცდილობს. შიბლიანელებს წლების მანძილზე სოფელ ბადიაურის საექიმო ამბულატორიის ექიმები ემსახურებოდნენ.

სასოფლო კლუბი ჯერ-ჯერობით კვლავ დაკეტილია. ასევე, ბიბლიოთეკაც.

რაც შეეხება სოფელში მისასვლელ გზას, რომელიც სოფელს რესპუბლიკური მნიშვნელობის ავტომაგისტრალთან აკავშირებს, უკვე მერამდენედ გაუკეთდა შესარემონტებელი სამუშაოები – „დაკერდა“ ადგილ-ადგილ, მაგრამ, 3,5 კმ სიგრძის გზა უკვე შეკეთებას კი არა, სერიოზულ გაკეთებას მოითხოვს. ამიტომაც 2016 წლისათვის აქ სწორედ ეს გზა გაკეთდება. დაიგება ასფალტის ახალი საფარი.

სოფლის მოსახლეობამ წელს 600 ტონა ყურძენი მოიწია. მათგან 350 ტონა ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელ საწარმოებს მიჰყიდეს, ნაწილი ოჯახის მოთხოვნებისათვის გამოიყენეს და უმეტესი ნაწილის რეალიზაცია კი ბაზარზე მოახდინეს.

საბავშვო ბაღის სამზარეულო

09/10/2015

ამაგდარი ხელოვანი

მას 70 წელი შეუსრულდა

2015 წლის 7 ნოემბერს საგარეჯოს კულტურის სახლში ჩვენი რაიონის კოლორიტის, მოცეკვავის და ცნობილი პიროვნების, მრავალი კონკურსებისა და ფესტივალების ლაურეატის, ვეტერანი ქორეოგრაფის, ანსამბლ „გარეჯი“-ს პირველი ხელმძღვანელის მიხეილ ლაფაჩიშვილის 70–წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი გაიმართა.

შეგახსენებთ მის მიერ გავლილ ცხოვრების გზას. დაიბადა 1945 წლის 7 მარტს, საგარეჯოში. ცეკვაც საგარეჯოში დაიწყო, ხოლო შემდეგ რუსთავის პიონერთა სასახლის ცეკვის ანსამბლში განაგრძო ცეკვა. შვიდი კლასის დამთავრების შემდეგ ქორეოგრაფთა რეკომენდაციით სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო სკოლა-სტუდიაში, დირექტორი გიორგი სუხიშვილი, ხოლო ქორეოგრაფი ოთარ ნასყიდაშვილი.

1963 წელს ცეკვა დაიწყო ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლში, მაგრამ, სამწუხაროდ, ფეხის ტრამვის გამო 1965 წელს იძულებით მიატოვა აკადემიური ანსამბლი და მუშაობა განაგრძო საგარეჯოს 1 საშუალო სკოლაში, 1966 წლიდან მუშაობს საგარეჯოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფად.

1971 წლიდან საგარეჯოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარეა, პარალელურად მუშაობდა კულტურის სახლში აგიტმხატვრული ბრიგადის ხელმძღვანელად.

1982 წელს ანსამბლმა მიხეილ ლაფაჩიშვილის ხელმძღვანელობით წარმატებით იმოგზაურა ბულგარეთში, ეს მაშინ დიდი მიღწევა იყო. ცეკვის პარალელურად მიხეილ ლაფაჩიშვილი მოღვაწეობდა საგარეჯოს სახალხო თეატრში. მისი მონაწილეობით არაერთი სპექტაკლი დადგმულა.

მიხეილ ლაფაჩიშვილს წელს 70–წელი შეუსრულდა. კონცერტიც მის იუბილეს მიეძღვნა, რომელსაც მისი ახლო მეგობრები, ოჯახის წევრები, ქორეოგრაფები, მოცეკვავეები, კულტურის დამსახურებული მუშაკები ესწრებოდნენ. მათ თბილი სიტყვები არ დაიშურეს მისი მისამართით. ხოლო კულტურის ობიექტების გაერთიანების დირექტორმა ბესიკ ღვინაშვილმა ბატონ მიხეილს დიპლომი და ფასიანი საჩუქარი გადასცა.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს თბილისისა და რუსთავის სხვადასხვა ქორეოგრაფიულმა კოლექტივებმა.

კულტურა

„გრან-პრი“ საგარეჯოშია

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში მკითხველს იმ ფესტივალის შესახებ მივაწოდეთ ინფორმაცია, რომელიც ქ. გორში გაიმართა. აქ წარმოდგენილი იყო ჩვენი ქვეყნის სახალხო თეატრები სპექტაკლებით. ისინი ფესტივალის უმაღლესი ჯილდოსათვის იბრძოდნენ. და აი, 9 სახალხო თეატრს შორის კომპეტენტურმა ჟიურიმ საგარეჯოს მ. ჭიაურელის სახელობის სახალხო თეატრს სპექტაკლ „სისტემას“ მაღალპროფესიულ დონეზე წარმოდგენისათვის ფესტივალის უმაღლესი ჯილდო – გრან-პრი მიაკუთვნა. როგორც ცნობილია, სპექტაკლის რეჟისორი და პიესის სცენარის ავტორი ახალგაზრდა, ნიჭიერი რეჟისორი ნიკა საბაშვილია.

ჟიურის სპეციალური პრიზი გადაეცა სპექტაკლის მონაწილეს, საგარეჯოს სახალხო თეატრის მსახიობს (იგი ამავე დროს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელიცაა) პაატა ქვლივიძეს (მის შესახებ ვრცელ წერილს გთავაზობთ ჩვენი გაზეთის ამავე ნომრის მერვე გვერდზე).

ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობა

ქართულ-ამერიკული შემოდგომა

ერთად იზეიმეს ქართველებმა და ამერიკელმა მოხალისეებმა

2015 წლის ივლისიდან საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს „მშვიდობის კორპუსის“ ახალი მოხალისე ჰყავს -- ქეთი ო“ნეილი --ჩვენ მას ქეთევანს ვეძახით. იგი ძალიან აქტიურად ჩაერთო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საქმიანობებში და აქტივობებში... მთელი ზაფხულის განმავლობაში სხვადასხვა თემატური დღის ბანაკების მუშაობაში ჩვენთან ერთად მონაწილეობდა. ეს დღესასწაულიც ერთად დავგეგმეთ და „ქართულ-ამერიკული შემოდგომა“ დავარქვით,რომელიც 2015 წლის 23 ოქტომბერს საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ლიდერთა კლუბის და სხვადასხვა შემოქმედებითი კლუბების მონაწილეობით და მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების დირექციების მხარდაჭერით საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოში გაიმართა. ეს გახლდათ ტრადიციული შემოდგომის დღესასწაული „ჰელოუვინის“ დეტალებით... ჩვენი ღონისძიების სტუმარი გახლდათ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სამსახურის წარმომადგენელი ქეთი ხაბაზიშვილი. ღონისძიებას უძღვებოდნენ საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ლიდერთა კლუბის წევრები მარიამ დურგლიშვილი და მარიამ ტიგინაშვილი... მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საბავშვო თეატრის მოსწავლეებმა ნოდარ ბროლაშვილმა და დიანა ქვლივიძემ წარმოადგინეს ნაწყვეტი რეზო ინანიშვილის მოთხრობიდან „დედაბოძი“ და ისინი ღონისძიების თანაწამყვანების ამპლუაში მოგვეელინნენ.. მეტად საინტერესო იყო „ფუფალას“ გამოჩენა ცელქ „გოგლასთან“ ერთად../ მაკა და ივანე ზალიკანიანები /, საბავშვო თეატრის ყველაზე პატარა წევრმა ანასტასია ასლამაზიშვილმა, რომელიც ასევე ირინა ბაირამაშვილის სტუდიის მოსწავლეა, შეასრულა სიმღერა „მერცხალი“, ყველა გააოცა თავისი ხელოვნებით პატარძეულის ქართულ-ფრანგული ლიცეუმის მოსწავლემ, თვითნასწავლმა ბალერინამ ნინო უსტიაშვილმა... ერთმანეთს ენაცვლებოდა ლექსი და სიმღერა... საინტერესო ფოლკლორული სიმღერები შეასრულეს საგარეჯოს № 2, პატარძეულის საჯარო და პედაგოგ გივი ჭიაურელის ფოლკლორული ჯგუფის მოსწავლეებმა, მხიარული „ცეკვა წარმოადგინეს საგარეჯოს მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ეთერ ტეტიაშვილმა და მაკა მარტიაშვილმა

... მთელი ღონისძიების განმავლობაში მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ინგლისური ენის კლუბის მოსწავლეები მათ პედაგოგთან თამარ მათიაშვილთან და „მშვიდობის კორპუსის“ მოხალისესთან ქეთი ო”ნეილთან ერთად ახორციელებდნენ „სახალისო თამაშს“ „თრიკ ორ ტრეატ“ --„ეზოში ხეებზე გაბნეული იყო სხვადასხვა სიტყვები, ფრაზები, სურათები „ჰელოუვინთან“ დაკავშირებით, ბავშვებს უნდა შეედგინათ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით. ვინც წინადადებას სწორად დააწყობდა, ასაჩუქრებდნენ „ჰელოუვინისთვის“ დამახასიათებელი ამერიკული ჟელატინით.. ძალიან საინტერესო იყო მომენტი, როდესაც ჩვენმა მოხალისემ ქეითმა და მისმა მეუღლემ ქრისმა მოამზადეს სპეციალური ტაბილი სასმელი, რომელიც „ჰელოუვინის” დღისათვის მზადდება... და პარკში მოსეირნეებს და ღონისძიების მონაწილეებს გაუმასპინძლდნენ.. /„ჰელოუვინი” კელტური დღესასწაულია, რომელიც დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აღინიშნება, მათ შორის ამერიკაშიც--ტრადიციულად შემოდგომის მიწურულს 31 ოქტომბერს /..

კონცერტის შემდეგ ერთ კუთხეში თავი მოიყარეს შემოქმედმა მოსწავლეებმა, რომლებმაც საკუთარი შემოქმედება გააცნეს ერთმანეთს...

ასევე მთელი ღონისძიების განმავლობაში მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხატვის კლუბის მოსწავლეები და სხვა მსურველები პატარებს სახეებს უხატავდნენ...ეზოშივე მოწყობილ საშემოდგომო გამოფენაში მონაწილეობდნენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხატვის კლუბის, საგარეჯოს № 1, № 2, № 3, № 4, პატარძეულის, გიორგიწმინდის, თოხლიაურის საჯარო სკოლების მოსწავლეები.. ლამაზად გაფორმებული კუთხეებით და მრავალფეროვანი და სახალისო პროგრამით წარმოაჩინეს თავი საგარეჯოს № 1, № 2, № 3, გიორგიწმინდის, თოხლიაურისა და პატარძეულის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა და პედაგოგებმა..

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის შემოქმედებითი გაერთიანება მადლობას უხდის მუზეუმის დირექციას და თანამშრომლებს გაწეული დახმარებისა და ღონისძიების წარმატებით ჩატარებისათვის... მადლობა ყველა მოსწავლეს, პედაგოგს, მშობელს, მონაწილე სკოლების დირექციებს საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის „ლიდერთა კლუბს” საშემოდგომო კომპლექსური ღონისძიების „გარეჯული შემოდგომა” წარმატებით ჩატარებისათვის...

თამარ ჯაბადარი

აიპ „საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის“ სახლის დირექტორი.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ინფრასტრუქტურული სამუშაოები რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა

გზები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და დასაქმებული ადამიანები

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი სოფელ მანავისა და საგარეჯოში კოსტავას ქუჩაზე მდებარე საბავშვო ბაღებში (მარჯვნივ);

ერეკლე II-ის ქუჩის მოასფალტება (მარცხნივ).

ვანო მათიაშვილი *მანავის საჯარო სკოლის მეთერთმეტეკლასელია. უყვარს პოეზია, ლიტერატურა. პირველი ლექსი პედაგოგ, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მანანა დაბახიშვილის დავალებით დაწერა როგორც საშინაო დავალება. შემდეგ რამდენჯერმე სცადა კალამი. აქტიურად მონაწილეობს მშობლიური სკოლის, საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პროექტებში, დიდი ინტერესით ეუფლება ქართულ-ხალხურ სიმღერებს საგარეჯოს ვანო მჭედლიშვილის სახელობის სახელოსნოში. ზაფხულში თანატოლებთან ისვენებდა და მონაწილეობდა სხვადასხვა აქტივობებში ანაკლიის „მომავლის ბანაკში“.*

ახალგაზრდა შემოქმედი

პირველი ნაბიჯები

ოცნებობს იურისტის პროფესიის დაუფლებაზე.
დღეს ვანოს ლექსებს გთავაზობთ:

***

ცაში დავფრინავ ჩუმი ფიქრებით,
ღმერთი თუ იგებს ჩემს სნეულებას,
უშენოდ ვგავარ ცივ ზამთრის მთვარეს,
ვერ გადავლახავ ჩემს ეულებას.
ბუნება თრთის და სამყარო ღელავს,
როდესაც ღმერთი აღმართავს ხელებს,
შენს დანახვაზე გული მიჩქროლავს,
როგორც მოთრთოლავ ბუნების ქარებს.
შენ მასულდგმულებ უნაკლო მზერით,
შენი გულისთქმა მესმის ყოველგან,
შოთას, ბესიკის ლექსებით მოსილს
მე არ შემშვენის ჩუმი ყურება.
მე ვერ შეგკადრებ სიტყვას პირისპირ,
ვერ მოვალ შენთან ასაღელვებლად.
უბრალოდ ვიცი, არ მელოდები
ჩემს სიყვარულის გასამჟღავნებლად.
ვერ გეტყვი სიტყვას, რაც არა ითქმის,
მაგრამ ჩემს გრძნობას ვერ გადავუხვევ,
მე შენ მიყვარხარ და მომკალ, აჰა!
რადგან უშენოდ ვერ გავძლებ, მე ვერ!

ახალგაზრდობა

ვუძღვნი *გიორგი ანწუხელიძეს, რომელმაც სიკვდილი არჩია საკუთარი ქვეყნის დროშაზე ფეხის დადგმას და მაშველ ზურაბ მუზაშვილს, რომელმაც 13 ივნისს თბილისში მომხდარი წყალდიდობის დროს მრავალი ადამიანი გადაარჩინა, თვითონ კი დაიღუპა.*

„ახალგაზრდობა იმედი ხვალის“
– ამას ამბობდა დიდი პოეტი,
ამბობდა ყველგან, ყოველთვის რწმენით,
სჯეროდა მათი ძალის და ღონის.
ახალგაზრდობა – გადამრჩენელი,
ერთად შეკრული და მუდამ მყარი,
იყო ყოველთვის ერთგული მცველი
ჩვენი დიდების და გამარჯვების.
იდგა 89-ს აპრილი,
ტანკების გრუხუნს მიჰქონდა სმენა,
მაგრამ არ შეწყდა ყიჟინი სისხლის
და გამოვიდა ის ერთი სმენად.
მე დავითი ვარ, მე ქართველი ვარ,
არ შემოგიშვებთ მე არასოდეს –
ტანკს კეტი დასცხო დაუზოგავად,
ჯალათებმა კი ის გადათელეს.
და ეს რეჟიმიც მალე დაემხო,
გამოიღვიძა ახალგაზრდობამ,
ერთად დგომით და გმირული ბრძოლით
ბოლო მოედო უსამართლობას.
მრავალ წლის შემდეგ ეს განმეორდა
და ისევ დადგა ბნელი დღეები, –
მხოლოდ ხუთი დღე, მაგრამ საშიში
და სისხლით სავსე ომის დღეები.
დაიჩოქეო, მტერმა უბრძანა
და ძირს დააგდო ხელებშეკრული,
ფეხი დაადგი, დროშას დაადგი,
თუ არ ხარ შენი ქვეყნის ერთგული.
მე გიორგი ვარ, მე ქართველი ვარ!
დროშაა ჩემი სულის ნაწილი,
თუნდაც მომკალით, გადამიარეთ,
მე არასოდეს არ დავნებდები!
მტერი ახლოა, ძალიან ახლო,
მაგრამ სხვა არის აქ განსაცდელი,
შავმა ძალებმა შემოგვიტიეს,
ღამე დაგვიდგა ყველასთვის ბნელი.
თბილისი მიაქვს წყალს და ნიაღვარს,
ადიდდა ვერე და გადმოვიდა,
მაგრამ ის ერთი უშიშრად დგას და
მრავალ სიცოცხლეს იხსნის დიადად.
გადაარჩინა ერთი, მეორე,
ყველა მადლობას უხდიდა გულით,
მე ზურაბი ვარ, მე ქართველი ვარ,
ეს არის ჩემი რწმენა და რჯული.
„ახალგაზრდობა – იმედი ხვალის“ –
დიდი პოეტი ასე ბრძანებდა,
ახალგაზრდობა, რწმენა, სილაღე,
ერთობა, ძალა და აღმაფრენა.

სულთათანა

ნუგზარ გურჯიძე

ძალაქს, რაიონს დააკლდა კაცი, რომელიც თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობებით, ადამიანებთან ურთიერთობით, სამშობლოს, მამულის სიყვარულით წლების განმავლობაში მისეული კოლორიტული ფიგურა შექმნა. კახეთში მოღვაწე იმერელთან ურთიერთობისას მისი განსხვავებული თავაზიანობა, ზრდილობა, მოწიწებას და მოკრძალებას მატებდა თანამოსაუბრეს თუ თანამოსაქმეს, თანაქალაქელს თუ თანამოქალაქეს.

ეს პიროვნება ბატონი ნუგზარ გურჯიძეა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ საგარეჯოს კომკავშირის რაიკომის ინსტრუქტორად იწყებს მუშაობას და შემდეგ თითქმის ყველა სამსახურებრივი საფეხურის გავლის შემდეგ იყო საგარეჯოს რაიადმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, 13 წელი – კპ საგარეჯოს რაიკომის მეორე მდივანი, საგარეჯოს რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე (დამთავრებული ჰქონდა ასევე, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი), ბოლო ხანს კი მუშაობდა საგარეჯოს რაიონის ადვოკატად.

მუშაობის მთელ პერიოდში არასოდეს შორდებოდა აზრი, ფიქრი საგარეჯოს კულტურულ-მატერიალური ძეგლების დაცვა-მოვლაზე, მათ პატრონობაზე. თავისი საქმიანობით მაგალითს აძლევდა ახალგაზრდობას – როგორ უნდა მოვევლოთ იმ საუნჯისათვის, რაც წინაპრებმა მოსავლელად და საპატრონებლად დაუტოვეს ქართველობას. ფეხით ჰქონდა შემოვლილი რაიონის ყველა სოფელი, იცოდა ყველა ისტორიულ-მატერიალური ძეგლის ისტორია, განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა სოფელი მანავი, რომელიც მის ახალგაზრდობასთან იყო დაკავშირებული, სწორედ მის სიყვარულს მიუძღვნა წიგნი „მანავი“, რომელიც საინტერესოდ იკითხება.

საზოგადოებრივ და სამსახურებრივ საქმიანობასთან ერთად იყო საოცრად ერთგული, ოჯახის მოყვარული ადამიანი. მან და მისმა მეუღლემ საგარეჯოელთათვის საყვარელმა კარდიოლოგმა ნელი ექთიმიშვილმა სიყვარულით შექმნეს ოჯახი. ერთმანეთს მოჰყვნენ შვილები ზურაბი და ზაზა. ქალბატონი ნელის ჯანმრთელობის ნაადრევმა შერყევამ და ამქვეყნიდან გასვლამ გული დასწყვიტა მთელ რაიონს, შემდეგ იყო უფროსი შვილის ზურაბის საწუთროდან გასვლა. მართალია, არავის ახვევდა თავს თავის ტკივილს, მაგრამ ყველა გრძნობდა რამხელა ტკივილს დაატარებდა ბ-ნი ნუგზარის გული. მთელი ყურადღება და სიყვარული შვილიშვილების აღზრდაზე გადაიტანა. განსაკუთრებულ სიყვარულს ნაბოლარა ლუკას მიმართ იჩენდა, რომელსაც ჯერ საბავშვო ბაღში დააცილებდა, შემდეგ სკოლაში და დიდი წვლილი შეიტანა მისი, როგორც ნორჩი მოჭადრაკის ჩამოყალიბებაში...

ამ რამდენიმე თვის წინ, ზაფხულში ამერიკაში იმოგზაურა. დიდი ხნის უნახავ შვილთან შეხვედრას, იქაურ შთაბეჭდილებებს აღფრთოვანებით გვიყვებოდა და მემუარების წერაც დაიწყო, მაგრამ... ვეღარ მოასწრო.

ბ-ნი ნუგზარი 82 წლის ასაკში გარდაიცვალა. კაცი, რომელმაც ჩვენი ქვეყნის, ჩვენი რაიონის, თითოეული ადამიანის სიყვარული და პატივისცემა მომავალ თაობებს ასწავლა, ვალმოხდილი წავიდა ქვეყნიდან.

ნათელში იყოს მისი სული.

საგარეჯოს რაიონის ინტელიგენცია

გამოსათხოვარი

ანზორ ჩაფიძე

წავიდა ჩვენგან ღირსეული, ღვაწლმოსილი ადამიანი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ეკოლოგიურ-მეცნიერებათა წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს დამსახურებული მეტყევე, ღირსების ორდენის კავალერი ანზორ ჩაფიძე.

ანზორ ჩაფიძე დაიბადა 1934 წელს ქ. საგარეჯოში. 1953 წელს დაამთავრა ქ. საგარეჯოს საშუალო სკოლა, ხოლო 1958 წელს – სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო ფაკულტეტი. 1958 წლიდან 1970 წლამდე მუშაობდა ამიერკავკასიის ტყეთმოწყობის საწარმოში ჯერ ინჟინერ-ტაქსატორად, ხოლო შემდეგ ექსპედიციის უფროსად. ამ პერიოდში მან შემოქმედებითად იმუშავა საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის და რუსეთის სხვადასხვა ოლქებში, პარალელურად სწავლობდა ასპირანტურის დაუსწრებელ განყოფილებაში. მას გამოქვეყნებული ჰქონდა 10-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც გარეკახეთის მუხნარი ტყეების აღდგენის საკითხებს ეხება.

ანზორ ჩაფიძის პროფესიული უნარი შეუმჩნეველი არ დარჩა და იგი 1970 წელს გადაიყვანეს საქართველოს მთავრობის აპარატში სატყეო დარგში სახელმწიფო მრჩევლის თანამდებობაზე. იგი 2004 წლამდე უძღვებოდა მთავრობის აპარატში სატყეო დარგის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის ნაკრძალების და სამონადირეო მეურნეობის საკითხების შესწავლას. მან ქ. საგარეჯოში გააშენა დენდროლოგიური პარკი, რომელიც თავისი აღმზრდელის აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის სახელს ატარებს.

ანზორ ჩაფიძეს ყოველთვის ახასიათებდა თავისი ქვეყნის, თავისი მშობლიური კუთხის სიყვარული, მაღალი მოვალეობის გრძნობა და სიახლის ძიება, ასევე, არავის მოკლებია მისი კაცური თანადგომა, ზრუნვა და ადამიანური სითბო. ორიოდე თვის წინ მას გარდაეცვალა მეუღლე ქ-ნი ქეთევან გილაშვილი, რამაც კიდევ უფრო გააუარესა მისი ჯანმრთელობა.

ბ-ნი ა. ჩაფიძე იყო ბუნების დიდი ქომაგი. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქ. საგარეჯოში ნავთობის ამოფრქვევის შედეგად განადგურებული ტყის ფართობის აღდგენით სამუშაოებში, ასევე აქტიური მონაწილეობა მიიღო ქ. საგარეჯოს სასმელი წყლით მომარაგების საკითხების მოგვარებაში.

მსუბუქი ყოფილიყოს ბ-ნი ანზორისათვის მშობლიური საგარეჯოს მიწა. მისი ხსოვნა მარად დარჩება მათ გულებში, ვინც მას იცნობდა.

საგარეჯოს რაიონის ინტელიგენცია

ხსოვნა

დათო მღვდლიშვილი

50 დღეზე მეტი გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ, ჩვენო დათო! ტკივილიანია, მწარეა შენი მონატრება. საოცრად თბილი და უდალატო იყავი, მშრომელი, ალალი, კაცთმოყვარე. ისე უეცარი და თავზარდამცემი იყო შენი ამქვეყნიდან გასვლა, ჯერ კიდევ ვერ გაგვიაზრებია, რა ხდება ჩვენს თავს.ბედისწერის არ სჯერა ადამიანს, ვერც იმით ვიმშვიდებთ გულს, რომ უფალს თავისთან კარგი ადამიანები მიჰყავსო. როგორ ავუხსნათ შენს პაწია ნინის, რომ ვერასოდეს მოხვალ, ვეღარ აიყვან ხელში, ვერ მოეფერები და შენს მკლავებში ვეღარ დაიძინებს.დაჟინებით იყურება კარებისკენ, ხშირად პატარა ხელებს შენი სურათისკენ იშვერს...

მწარეა სინამდვილე, ჩემო დათო, მწარე და შეუცვლელი. რამდენი რამის გაკეთებას აპირებდი შენს საყვარელ მეუღლესთან ერთად, რამდენ სიხარულს აჩუქებდი მშობლებს, გამახარებდი მეც და ერთმანეთის გვერდში დგომით რამდენ სიკეთეს მოვუტანდით ოჯახს, ნათესავებს, სამეგობროს... მაგრამ...

დაგეძებთ, გელოდებით, გვენატრები, გვაკლიხარ ძალიან, ძალიან. მანდ ერთი დიდი, მთლიანი საქართველოა, რომელსაც შენი სულიც შეუერთდა. ნათელში გამყოფოს უფალმა, ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა უფლამდე მიაღწიოს და სასუფეველი დაგიმკვიდროს. ალალი იყოს ცრემლები, რომლებიც შენზე მოგონებებს მოაქვს ჩვენს თვალებზე.

ძმა ალექსანდრე (ალიკა) მღვდლიშვილი

გახსენება

ნინო შათირიშვილი (მონატრება)

დადგა ნოემბერი, დაიწყო ფოთოლცვენა. აცივდა და რადაც ნოსტალგია შემოაწვა სულს. ნოემბერში ხომ შენი დაბადების დღეა, ძვირფასო დედა. კიდევ ერთხელ გაგვახსენა შენი თავი გიორგობისთვემ. სიტყვები არ მყოფნის იმ ტკივილის გამოსახატავად, რასაც შენი მონატრებით განვიც დი. შენ აღარ ხარ ჩვენთან, მაგრამ ახსოვს სოფელს „ნინო მასწავლებელი“, რომელმაც თავმდაბლობით და სიკეთით დაამახსოვრა ყველას თავი და ქართველი ქალის სახელი დატოვა.

შენ ახლა სამი შვილიშვილი გყავს, დედა! რომლებიც მოდიან შენს საფლავთან და პაწია თითებით გინთებენ სანთელს. ილოცე მათთვის, რომ კარგები და სასახელოები გაიზარდნენ. ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები, დედა!

შენი შვილები

***

მე ჩემი მიწის და ჩემი ხალხის
ვალი მაქვს მხოლოდ,
ჩემი სამშობლოს დარდი მინდა
გავიზიარო.
მე დედაჩემის ამაგი მაქვს მადლად
ღებული,
მისი პატარა და ლამაზი
ხელები მახსოვს.
მე უნუგეშო, არ ვარ სუსტი, არა
ვარ მხდალი.
და არც მჭირდება ვინმეს ტაში,
ქება-დიდება.
არცა ვარ დიდი, და არც კიდევ არა
ვარ ბავშვი,
ვინმემ დამიწყოს ალერსი და
დამშვიდება.
დავალ მიწაზე და დამყვება
სამშობლოს ვალი.
უნდა დავიცვა საქართველოს
წმინდა ღირსება,
სულ მარიგებდა დედაჩემი – იყავი კარგი,
დედის სიტყვები არასოდეს არ
მავიწყდება.

ლია გრძელიშვილი

წარმატებული ადამიანი

10 დღეში სამი დიდი წარმატება და სიხარული

ცხოვრება, სიცოცხლე მოულოდნელობებითაა სავსეო, ალბათ გაგიგონიათ. ყოველი სახის მოულოდნელობა, ნეგატივია ის თუ პოზიტივი, ადამიანში თავისებურ, დატვირთულ ემოციებს, გაუთვითცნობიერებულ განცდებს, შთაბეჭდილებებს იწვევს...

საგარეჯოს მ. ჭიაურელის სახელობის სახალხო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, მსახიობ პაატა ქვლივიძისათვის ოქტომბრის თვე მართლაც „ხელხვავიანი“ და საოცნებო, უფრო სწორად, ოცნებების ახდენის თვე აღმოჩნდა. მესაუბრება და ახლაც ვერ გამოდის შთაბეჭდილებებიდან, იმ განცდებიდან, რომლის გადატანა სწორედ შემოდგომის ამ ლამაზ თვეს მოუხდა – ისე, მეც მიკვირს – პაატა რადაცნაირად, მისთვის უჩვეულო „ამპლუაშია“ – ბევრს არ ლაპარაკობს, არ მოუსვენრობს, იუმორის ნატამალიც არ ჩანს და ისეთი სახით მიყურებს, მგონია ეს ის პაატა არ არის, რომელსაც აგერ 31 წელია (თვითონაც 31 წლისაა) ვიცნობ. ვუყურებ, ვუსმენ და ვასკვნი – პაატა მართლაც გაოგნებულია, შინაგანად გახარებული და ცოტა გაყუჩებულიც – ასე მგონია, სამომავლო გეგმებს აქედანვე აწყობს... პასუხისმგებლობა მოემატა, მეტის გაკეთებას აპირებს – ეფიქრობ... გასაკეთებელი კი მართლაც ბევრი ექნება – ჯერ ახალგაზრდაა, წარმატებებს კი თავის მეგობრებთან ერთად უკვე კარგა ხანია ზეიმობს. 2015 წელი კი... მართლაც განსხვავებულია სხვა წლებისგან. აი, ისინიც:

პირველი

10 ოქტომბრიდან 23 ოქტომბრის ჩათვლით გორში ჩატარდა საქართველოს სახალხო თეატრების ფესტივალი „გორი-2015“, რომელშიც მონაწილეობას ცხრა რაიონის სახალხო თეატრები იღებდნენ. მათ შორის საგარეჯოს მიხეილ ჭიაურელის სახელობის სახალხო თეატრიც, რომელმაც მაყურებლისა და ჟიურის წინაშე ნიკა საბაშვილის სპექტაკლი „სისტემა“ წარადგინა. თითქმის 20 წელიწადია ასეთი სახის ფესტივალი საქართველოში არ გამართულა, ამიტომაც დიდი იყო სიხარულიც და მღელვარებაც. სპექტაკლი მეთხუთმეტე ჩვენება იყო მაყურებლისათვის. ჟიური კომპეტენტური პირებით იყო დაკომპლექტებული – თეატრმცოდნეები – ნიკა წულუკიძე, ლაშა ჩხარტიშვილი და ლელა ოჩიაური.

– მაყურებელი საოცრად „მომზადებული“ აღმოჩნდა სპექტაკლის შესაფასებლად. საინტერესო მაყურებელს, რომელიც თვალყურს ადევნებს სპექტაკლის მსვლელობას, არასოდეს გამოეპარება პატარა ნიუანსიც კი სცენაზე, ეს იყო მაყურებელი, რომელიც ჩვენთან ერთად, ერთი ამოსუნთქვით მოჰყვებოდა პიესას, აფასებდა თითოეულ როლს და მის შემსრულებელს. არ გამოჰპარვიათ თვალთახედვიდან არაფერი და ამიტომაც იყო, თითქმის ყველამ მათი ტაში ჯერ კიდევ სპექტაკლის მსვლელობისას დავიმსახურეთ. და შენც, მსახიობიც, როცა გრძნობ მაყურებლის ემოციას, რეაქციას, ინტერესს, მეტი სტიმული გეძლევა. ჩვენ ფესტივალზე პირველი ადგილი ავიღეთ. ეს არ არის თითქოს დიდი შედეგი, მაგრამ ჩვენ ხომ 9 რაიონის სახალხო თეატრებს შორის ვიყავით პირველები?! – მეუბნება პაატა, – და რაც შეეხება პრიზს, ამ შემთხვევაში, მე პროფესიით მსახიობი ვარ, ამიტომ სახალხო თეატრების ფესტივალში მე ვერავითარ პრიზს ვერ მომანიჭებდნენ, თუმცა იქ იყო, ვთქვათ, მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის. ამჯერად მე ამ სპექტაკლში ჩემი – პაატას როლის შესრულებისთვის დავიმსახურე ჟიურის მიერ დაწესებული პრიზი.

თქვენ კარგად იცით, რომ მართალია, თეატრის დასს მიეკუთვნა პირველი ადგილი, მაგრამ აქ პირველი ადგილი თავად როლების შემსრულებლებმა მიიღეს. მე ვერ გამოვყოფ, რომ ვთქვათ, ამან კარგად შეასრულა და იმან – რამე დააკლო. პირიქით, აქ ყველა პროფესიულ დონეზე იყო სცენაზე. შეგახსენებთ, რომ პიესა, თითოეული როლი რეჟისორ ნიკა საბაშვილის მიერ უშუალოდ სცენაზე იწერებოდა და იქვე იდგმებოდა. მიხარია, რომ სოციალურ ქსელებში დიდი სიხარული გამოიწვია ჩვენმა წარმატებამ და მილოცვებს დღესაც არ უჩანს ბოლო.

მეორე

საქართველოს კულტურის სამინისტროს დამოუკიდებელი პროექტით თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში რეჟისორმა ნიკა საბაშვილმა სპექტაკლი „1945“ დადგა, სადაც მთავარ როლს – ჰიტლერის როლის შესასრულებლად პაატა ქვლივიძე მიიწვია. სპექტაკლმა გაზაფხულის ბოლოს საოცარ მოწონებას და წარმატებას მიაღწია – თბილად, დიდი ემოციებით მიიღო იგი თბილისელმა მაყურებელმა და აი, ოქტომბერში პროფესიული სახელმწიფო და აკადემიური თეატრების ფესტივალში „ჯურუჯი“ სპექტაკლმა უმაღლესი თეატრალური პრემია დაიმსახურა. უფრო სწორად თუ ვიტყვი – სპექტაკლის რეჟისორმა, რომლის სცენარის ავტორიც ჩვენთვის ცნობილი პიროვნება – ნიკა საბაშვილია. ასე, რომ სპექტაკლი „1945“ წლის საუკეთესო სპექტაკლად გამოცხადდა 35 სპექტაკლს შორის. ვფიქრობ და ასეცაა, რომ პაატამაც დიდი წვლილი შეიტანა ამ წარმატების მოპოვებაში – როლი, რომელიც მან შეასრულა დიდხანს ემახსოვრება მაყურებელს, სადაც პაატამ მთელი თავისი მსახიობური ნიჭი, შესაძლებლობები, და მონდომება ჩადო. და აი, შედეგიც...

მესამე

ფესტივალ „ჯურუჯში“ გამარჯვებული სპექტაკლი 24 ოქტომბრიდან მაკედონიის ქალაქ სკოპიაში გაემგზავრა. დათვალიერება-ფესტივალზე „სკოპია-ფესტ“-ზე, სადაც წარმოდგენილი იყო ევროპის, აზიის ქვეყნები, დათვალიერება-ფესტივალზე წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო კრეატიული სპექტაკლები, ამიტომაც საქართველოდან სპექტაკლი „1945“ შეირჩა. და რაოდენ საამაყოა, როცა ამ სპექტაკლმა უმაღლესი ჯილდო მოიპოვა. ეს უკვე დიდი გამარჯვებაა რეჟისორის, სცენარის ავტორის, თითოეული მსახიობის...

ამიტომაც ვერ გამოსულა ჯერ პაატა შთაბეჭდილებებიდან, ადვილი არ არის 10 დღეში სამი დიდი სიხარულის გადატანა.

სამომავლო საკეთებელი

მომავლის გეგმებზე ვეკითხები პაატას

– არ ვიცი, – დაფიქრებით მპასუხობს. –რა გითხრათ, ბავშვობაში სამი როლის შესრულებაზე ვოცნებობდი, აქედან მგონი ორი უკვე მისრულდება. მინდოდა ჰიტლერის როლის შესრულება და ყვარყვარეს როლის „ყვარყვარე თუთაბერში“. ჰიტლერის უკვე შევასრულე და არ დაგავიწყდეთ, რომ მაკედონიაშიც კი... ახლა ვიცი, რომ რეჟისორი ნიკა საბაშვილი ახალი სპექტაკლის „ყვარყვარე თუთაბერის“ დადგმას გეგმავს. არა მგონია ყვარყვარეს როლი „გამომწიროს“ და იცით, რატომ? ყვარყვარეს კი ვგავარ რაღაცით, ჰიტლერსაც. აი, ჰიტლერს თუნდა იმით, რომ ის თუ 1884 წლის 20 აპრილსაა დაბადებული, მე 1984 წლის 19 აპრილს. ახლა რა მნიშვნელობა აქვს ერთ საუკუნეში 1 დღეს? იქნებ საათებში იყოს ცოომილება და არა ერთ დღეში? ახლა, სიმართლე რომ გითხრათ, ჰიტლერივით არა მძულს ებრაელები, ზოგადად კაცობრიობა, მაგრამ მისი დისციპლინა და სწრაფვა პირველობისკენ, ერის გაფეტიშება ძალიანაც, დიახაც ძალიან მომწონს. ჩვენ მაკედონიიდან გერმანიაში გადავედით და იქაც „მივირბინ-მოვირბინე“, ვნახე თავად გერმანელები, როგორც ასეთი – გარეგნულად, როგორც „ნაცია“...

თითოეულ ქართველში კი, გინდა არ გინდა, ყვარყვარე რადაც დოზით მაინც დევს. საქართველოში ხელისუფლების ხშირმა ცვლამ დიახ, გამოგვიმჟღავნა ყვარყვარიზმის უხვი ელემენტები. ვუყურებ ადამიანებს და ძალიან ადვილად შემიძლია ამ როლის შესრულება – მიმოიხედეთ, რამდენი ყვარყვარე გვყავს ირგვლივ, გარშემო!

და რაც შეეხება მესამე როლს – ეს არის რიჩარდი. ეს კი ჩემთვის დიდი საპასუხისმგებლო იქნება, ვიცი, მაგრამ, მე მაინც მინდა „შევეჭიდო“ თუ ამის შანსი მომეცა.

ვნახოთ!..

ნორჩი მოჭადრაკის მორიგი წარმატება

ოქტომბრის ბოლოს თბილისის ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭარდაკის სასახლეში ჩატარდა საქართველოს ვაჟთა 75-ე ჩემპიონატის პირველი ლიგის შესარჩევი ტურნირი, რომელშიც აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მწვრთნელ ირაკლი ქვლივიძის პერსპექტიული აღსაზრდელი ნიკოლოზ კევლიშვილიც იღებდა მონაწილეობას. საქართველოს სხვადასხვა დონის ტურნირებში გამარჯვებული ჩვენი 11 წლის მოჭადრაკისათვის ამ ტურნირში მონაწილეობა თავისთავად დიდ წარმატებად ითვლება, რადგან ამ და სხვა ასაკშიც, ასეთი დონის შეჯიბრებაში, არც ერთ საგარეჯოელ მოჭადრაკეს ამ დრომდე მონაწილეობა არ მიუღია.

ტურნირი შვეიცარიული სისტემით 9 ტურად ჩატარდა, სადაც ნიკოლოზი ყოველთვის ლიდერთა შორის იმყოფებოდა. საბოლოოდ, ცხრა შესაძლებლობიდან მან შეძლო 6.5 ქულის დაგროვება, რის შედეგადაც მესამე ადგილი და ზემოაღნიშნულ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ვაჟთა 75-ე ჩემპიონატის I ლიგის ტურნირი 23 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე გასტანს. წარმატებები ვუსურვოთ ჩვენს მოჭადრაკეს ამ ტურნირშიც.

გ. დაბახიშვილი

დიასახლისებისათვის

თათარა



ახლადდაწურული ყურძნის წვენს კახეთში „ტკბილს“ ეძახიან. ცეცხლზე კარგა ხნის დუღილის შემდეგ მას გარკვეული რაოდენობა აკლდება და მიღებულ შესქელებულ სითხეს „ბადაგი“ ეწოდება. მობადაგებამდე ტკბილში აგდებდნენ გოგრას ან კომშს სიმწკლარტის მოსაცილებლად. ცხელ ბადაგს კარგად აციებენ და თათარას გასაკეთებლად ახლიდან აცხელებენ, ოდნავ შემთბარს უკიდებენ ფქვილს (ადრე ეს ფქვილი წყლის წისქვილში უნდა ყოფილიყო დაფქული და და აუცილებლად პირველი ჩამონაფქვავი უნდა აეღოთ, მანამ, სანამ წისქვილის ქვები გაცხელდებოდა). 40 ლიტრ ბადაგს 10 კგ ფქვილს უკიდებენ (10 კგ წინასწარ უნდა გაიხსნას ცოტა ბადაგში, შემდეგ თუშფალანგში ატარებენ და ქვაბში შეცხელებულ ბადაგს ნელ-ნელა უმატებენ, თან ხის კოვზს ურევენ. თანდათან უმატებენ ატმის ჩირის ნახარშს – არომატისათვის. როცა მიღებული მასა კარგად მოიშუშება, შიგ ჩაუშვებენ გამდნარ შაქრის ფხვნილს, რომელსაც ტაფაზე კარგად ალღობენ (40 ლიტრ ბადაგზე 3 ჭიქა შაქრის ფხვნილს უმატებენ) – შაქრის ფხვნილი ჩურჩხელას ბზინვარებას და კარგ გემოს აძლევს. შემდეგ ამოავლებენ ძაფზე ასხმულ ნიგოზს და ხარიხაზე გასაშრობად ჰკიდებენ. იმავე სადამოს, ან მეორე დღეს ახლადგავლებულ ჩურჩხელებს ბადაგს უსვამენ – სირბილისა და სიტკბოსათვის.

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru